

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N1

დაბა ხულო

03 აგვისტო 2017 წელი

სხდომას  
თავმჯდომარეობდა:

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი - ლევან ქედელიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - დავით თავართქილაძე;

საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო და საინფორმაციო საკითხებში, კომისიის წევრი - მზიური ბოლქვაძე ;

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხულოს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი - ემზარ დეკანაძე ;

შ.პ.ს გაზეთ „ხულოს“ კორესპონდენტი, კომისიის წევრი - რიბანა მელაძე;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

## დღის წესრიგი

1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
2. კონკურსის ჩატარების ფორმების, პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმებისა და გრაფიკის განსაზღვრა.

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე – ლევან ქედელიძე

### მოისმინეს:

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 02 აგვისტოს N31 ბრძანების შესახებ ინფორმაცია.

### აზრი გამოქვეს:

დავით თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი და საკონკურსო კომისიას დაევალა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ შესაბამისად კონკურსის მოთხოვნები უნდა გამოქვეყნდეს საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)). კონკურსის პროგრამას, პირობებს, ეტაპებს, ფორმებს, შეფასების პირობებსა და გრაფიკის განსაზღვრას განახორციელებს კომისია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლით დადგენილია კონკურსის ეტაპები რომელიც მოიცავს :

- ა) კონკურსის მონაწილეობისათვის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- ბ) კანდიდატის შეფასება;
- გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ღია კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად, რომელიც მოიცავს: 1. განცხადებების გადარჩევა, 2. ზეპირი დავალება, 3. გასაუბრება .

დავით თავართქილაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება მოიცავდეს მოთხოვნას, რომ კონკურსანტმა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) აუცილებლად უნდა ატვირთოს:

- სათანადო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ;

სათანადო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა უნდა იყოს სავალდებულო, რომლის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტის განაცხადი არ იქნება განხილული კონკურსის პირველივე ეტაპზე.

მზიური ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტის განაცხადის შესატანად მიეცემათ 10 კალენდარული დღე,

აზრი გამოთქვეს კომისიის სხვა წევრებმა და განაცხადეს თანხმობა, რომ პირველ ეტაპზე განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

რიზანა მელაძემ აღნიშნა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულმა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიისათვის კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგების წარმოდგენა.

#### კომისიამ გადაწყვიტა:

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში პროფესიულ საჯარო მოხელის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარი 2017 წლის 02 აგვისტოს N31 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად: 1. განცხადებების გადარჩევა, 2. ზეპირი დავალება 3. გასაუბრება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებისათვის. საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების დღიდან (გამოქვეყნების დღე) 10 კალენდარული დღის ვადით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტს უფლება აქვს განაცხადი წარადგინოს არსებულ ვაკანსიაზე (პოზიციაზე), საბუთების მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებადი ვებ გვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით.
2. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: დაბა ხულო, ტბელ აზუსერიძის ქ. N1.
3. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართოს არაუგვიანეს 2017 წლის 19 აგვისტოსი.
4. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და მოიხსნება კონკურსიდან, თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტს, კერძოდ:
  - შესაბამისი განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელ დოკუმენტს;
5. კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის აგვისტოს N29 ბრძანების შესაბამისად.
6. კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობის მიღების უფლება მიეცეთ მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის – განცხადებების გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.
7. განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 აგვისტოსი.

#### მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის – ლევან ქედელიძის მოსაზრება კონკურსის მეორე (ზეპირი დავალება) და მესამე (გასაუბრება) ეტაპთან დაკავშირებით – კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპი ჩატარდეს ერთ დღეს, მეორე ეტაპზე

კონკურსანტებს მიეცემათ ერთიდაიგივე შინაარსის ზეპირი დავალება არსებულ ვაკანტურ თანამდებობისათვის „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების

დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 02 აგვისტოს N29 ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად ვინაიდან მეორე ეტაპი ტარდება ზეპირი დავალების ფორმით ამიტომ მეორე ეტაპზე გადასული ყველა კონკურსანტი გადადის კონკურსის მე-3 ეტაპზე (გასაუბრება), ასევე აღნიშნა რომ კონკურსის მესამე ეტაპზე მოწმდება კონკურსანტის უნარ - ჩვევები ვაკანტურ თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან.

#### გადაწყვეტის:

1. კონკურსის მეორე ეტაპი (ზეპირი დავალება) - კონკურსანტები ზეპირი დავალებას უპასუხებენ მოცემული ვაკანტური პოზიციისათვის „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის აგვისტოს N29 ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
2. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ზეპირი დავალება - ყველა კონკურსანტისათვის იქნება ერთიდაიგივე სირთულის.
3. კონკურსანტებს კონკურსის მეორე(ზეპირი დავალება) და მესამე (გასაუბრება) ეტაპის ჩატარების დროის შესახებ ეცნობებათ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის საშუალებით, რომელიც გაიმართება 2017 წლის 25 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.
4. კომისია გადაწყვეტილებას დებულობს კენჭისყრის საფუძველზე
5. კომისია უზრუნველყოს ამ ოქმით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირებას მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და მობილურ ტელეფონზე ასევე, კომისიის გადაწყვეტილების ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.khulo.ge](http://www.khulo.ge)) გამოქვეყნების გზით.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის  
თავმჯდომარე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი




ლევან ქველიძე;

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მეორადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ხულოს  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და  
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი




დავით თავართქილაძე

საკონკურსო კომისიის წევრი, საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო  
განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი  
საორგანიზაციო და საინფორმაციო საკითხებში



მზიური ბოლქვაძე

საკონკურსო კომისიის წევრი, საქართველოს პედაგოგთა და  
მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხულოს რაიონული  
საბჭოს თავმჯდომარე



ემზარ დეკანაძე

შ.პ.ს გაზეთ „ხულოს“ კორესპონდენტი, კომისიის წევრი



რიბანა მელაძე;